პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 18 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# კომუნისტი

(935) 237 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ. ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## ინგლისის ბურჟუაზია შეტევაზე გადავიდა.

ინგლისის პოლიცია თავს დაესხა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უმცირესობის მოძრაობის კომიტეტს, კომკავშირის აღმასკომს და კომპარტიის ლონდონის კომიტეტს. პოლიციამ წაიღო ყველა ქაღალდები, ლიტერატურა და წიგნები. ჩხრეკა დალამებამდე გაგრძელდა. დააპატიმრეს პარტიის მთავარი მდივანი ინკპინი, კომუნისტური გაზეთების რედაქტორები, მათი მოადგილეები და კომუნისტურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. დაპატიმრებას მასიური ხასიათი აქვს. ასეთი ცნობები მოგვიტანა გუშინ რადიომ ინგლისიდან. სულ რამოდენიმე დღის წინედ კონსერვატორულ პარტიის ყრილობაზე, ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე ბალდუინმა განაცხადა, რომ მთავრობას არ დასჭირდება განსაკუთრებული ადმინისტრატიული ზომები კომუნიზმის წინააღმდეგ, რადგან ამ უკანასკნელს სრულიად არ მოეპოვება „ნიადაგი“ ინგლისში. მაშ რას მიეწერება ეს არაჩვეულებრივი პოლიციური ზომები კომუნისტების წინააღმდეგ და „თავისუფლებით ქებული ინგლისის კონსტიტუციის შებღალვა?“ რომ ინგლისის ბურჟუაზია შეტევას აპირებდა მუშათა კლასზე, ეს უკვე აშკარა იყო ყველასათვის ამ ბოლო ხანებში.

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობაზე მემარჯვენე ბელადებმა მოუწოდეს ბურჟუაზიას პოლიციურ ზომებით გაესწორებიათ ანგარიშები ინგლისის კომპარტიასა და მეუმცირესობათა მოძრაობასთან. კონსერვატორების პარტიაზე მთავრობამ სასტიკი გაკიცხვა მიიღო, თითქოს ლმობიერ პოლიტიკისათვის კომუნისტების მიმართ. და ამ დარიგებათა შედეგებს ჩვენ უკვე ვხედავთ. ინგლისის ბურჟუაზიისა და მუშათა გამყიდველ ბელადების შიში აიხსნება იმ გარემოებით, რომ ინგლისის კომპარტია თანდათან აფართოვებს თავის გავლენას, მიუხედავად ყოველგვარ მთავრობის და გამყიდველ ბელადების საწინააღმდეგო ზომისა და პროვოკაციისა, ინგლისის მუშათა კლასზე. მეუმცირესობათა მოძრაობა, რომელიც მოითხოვს მჭიდრო კავშირს საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობასთან და მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანებულ შეტევას ბურჟუაზიაზე, დღეს უკვე უმცირესობა კი არ არის ინგლისში—არამედ მისი დადგენილებები ერთხმად იქმნა მიღებული ინგლისის პროფკავშირთა ყრილობაზე. ინგლისის პოლიტიკურ—ეკონომიური მდგომარეობა თან და თან რთულდება. ბურჟუაზიის შეტევა მუშათა კლასზე, რვა საათის სამუშაო დღეზე, სამუშაო ხელფასის შემცირების ცდები, მუშათა კლასის მხრივ იწვევს ამ შეტევის მოგერიებას და თავის მხრივ შეტევაზე გადასვლას. ინგლისის კონსერვატორული მთავრობა პოლიციური ზომებით ფიქრობს მუშათა მოძრაობის შეჩერებას, რაც არა თუ მიზანს აღწევს, არამედ როგორც დღევანდელი დეპეშები ადასტურებენ, პირიქით ინგლისის მუშათა კლასის რიგებს უფრო ამჭიდროებს და მათთვის უდავოდ ხდის თავის კლასობრივ მტრის—ბურჟუაზიასთან გადამწყვეტს და საბოლოო ბრძოლის აუცილებლობას.

## რ. კ. პ. ცეკას პლენუმის შედეგები

ეხლახან დამთავრებული რ. კ. პ. ცეკას პლენუმის მუშაობა სწარმოებდა ახალ სამეურნეო წლის დასაწყისში. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ცეკას პლენუმის მუშაობას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ცეკას პლენუმმა აღნიშნა პროფკავშირების განმტკიცება. სწორედ ამჟამად, როდესაც მასების თვითმოქმედება იზრდება, როდესაც ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული მუშათა დემოკრატიის გაფართოება, პროფკავშირებმა მტკიცედ უნდა ჩაჭკიდონ ხელი მთავარი ლოზუნგის განხორციელებას—„ახლოს მასებთან“,—და გადაიქცენ მუშათა დემოკრატიის ნამდვილ დაწესებულებებად.

პლენუმმა აღიარა, რომ მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების ზრდასთან ერთად შესაძლებელია სამუშაო ხელფასის გადიდება ჩვენი მეურნეობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შეფარდებით.

ამ წლის კარგი მოსავალი, პროლეტარული სახელმწიფოს ნივთიერი შესაძლებლობის ზრდა მოითხოვს, ცეკას დადგენილებების მიხედვით, ეხლავე გადაიდგას შესაფერი ნაბიჯები უღარიბეს გლეხობის მიმართ პარტიის მიერ აღებულ გეზის ცხოვრებაში გასატარებლად.

საკითხი პროფკავშირების შესახებ, საკითხი უღარიბეს გლეხობის შესახებ—ყველა ეს არის ის რგოლი, რომელზედაც უნდა გაიშალოს საბჭოთა დემოკრატია.

მაგრამ ერთი მთავარი პირობათაგანი საბჭოთა დემოკრატიის განსახორციელებლად არის პარტიული დემოკრატიის შინაური განმტკიცება. შეუძლებელია ისე ბიუროკრატიზმისა და ბრძანებლობის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა პროფკავშირებში, თუ კი პარტიული ორგანიზაციებიდან არ აღმოიფხვრა ბიუროკრატიული სიმახინჯე, ვინაიდან პარტია ხელმძღვანელობს პროფკავშირებს და საბჭოებს.

სწორედ ამიტომ ცეკას პლენუმმა დაადგინა—მიმართოს მოწოდებით ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რათა მათ თავიანთი მუშაობა ააგონ შინაურ დემოკრატიის ნიადაგზე.

პარტიული დემოკრატიისა და ლენინის იდეური მთლიანობის გეზით უნდა ჩაატაროს პარტიამ მომავალ მე-14 ყრილობისათვის მოსამზადებელი მუშაობა.

ყრილობის წინ პარტიულმა ორგანიზაციებმა გულდასმით უნდა განიხილონ ყველა ის საკითხები, რომელიც დგას ყრილობის დღის წესრიგში, და ჩაატარონ არჩევნები ისეთი საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ყრილობას,—რომ იგი იქნება სწორი და მთლიანი გამომხატველი მთელი პარტიის აზრისა და განწყობილების“.

(პრავდა)

# ახალი რადიო-ამბები

## ლოკარნოს კონფერენციის გარშემო.

### გერმანიის გაზეთები დელეგაციის მუშაობის შესახებ.

გერმანიის გაზეთები ჯამს უკეთებენ გერმანიის დელეგაციის მუშაობას საგარანტიო (საუზრუნველყოფო) კონფერენციაზე.

შტრეზემანის (გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი) გაზეთი აცხადებს, რომ მოლაპარაკება აღმოსავლეთის ხელშეკრულებაზე იმდენად წაიწია წინ, რომ კონფერენცია დაიხურება უახლოეს სამშაბათამდი.

ცენტრის პარტიის გაზეთი აცხადებს, რომ კონფერენციის ბედიღბალი გადაწყდება მაშინ, როცა სხვადასხვა პარტიები გამოსთქვამენ თავიანთ აზრს საგარანტიო (საუზრუნველყოფო) ხელშეკრულებაზე და როცა კელნის ზონა (რომელშიაც ჩაყენებულია მოკავშირეების ჯარები) განთავისუფლებულ იქნება.

### მუსოლინი საგარანტიო (საუზრუნველყოფო) კონფერენციაზე.

მუსოლინის (იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი) ჩასვლას ლოკარნოში (შვეიცარიის ქალაქი, სადაც ამ ჟამად მიდის საგარანტიო (საუზრუნველყოფო) კონფერენცია) მთელი გერმანიის პრესა აღნიშნავს როგორც მოლაპარაკების კეთილ სასურველად განვითარების ნიშანს.

### ლოკარნოს კონფერენციის დახურვა.

ლოკარნოდან (ქალაქი შვეიცარიაში, სადაც სწარმოებდა საგარანტიო (საუზრუნველყოფო) კონფერენცია) იტყობინებიან, რომ საგარანტიო კონფერენცია უკვე დაიხურა.

კონფერენციის საბოლოო სხდომა დაიწყო 16 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე. ცნობას ხელშეკრულების მოწერის შესახებ მქუხარე ტაშით შეხვდა მრავალ-რიცხოვანი საზოგადოება და სხვა და სხვა ქვეყნის პრესის წარმომადგენლები, რომლებიც უცდიდენ სხდომის გათავებას ქუჩაში. გაშვებულ იქნა მაშხალები. დელეგატებს მხურვალე ტაშით შეეგებენ. ბელგიის იურისტმა როლენმა უჩვენა საზოგადოებას ხელმოწერილი ლოკარნოს ხელშეკრულება.

გუშინ, 17 ოქტომბერს ყველა დელეგაციები წავიდენ ლოკარნოდან თავიანთ ქვეყნებში.

## საერთაშორისო მუშათა დამხმარე საზოგადოება უნგრეთის კომუნისტების საქმის შესახებ.

საერთაშორისო მუშათა დამხმარე საზოგადოების აღმასკომმა ტელეგრაფით მიმართა მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალებს, ინგლისის მუშათა პარტიის მთავარ საბჭოსა და ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს თხოვნით დაუყონებლივ გადასდგან ნაბიჯი უნგრეთის მთავრობის მიმართ საგანგებო სასამართლოს შეცვლის შესახებ. ასეთივე თხოვნით საზოგადოებამ მიმართა ვანდერველდესაც (ბელგიელი გამოჩენილი მენშევიკი).

## უნგრეთის კომუნისტების საქმე.

ბუდაპეშტის პროკურატურამ განაცხადა, რომ მან დაამთავრა წინასწარი გამოძიება რაკოშისა და მისი ამხანაგების საქმეზე (რაკოში უნგრელი კომუნისტია, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული „მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის“).

## რუმინეთის რევოლიუციონერ გოლდშტეინის გარდაცვალება.

დოფტანსკის ციხეში (რუმინეთში) გარდაიცვალა რუმინეთის რევოლიუციონერი მაკს გოლდშტეინი, რომელსაც 1921 წელში რუმინეთის სენატის წინააღმდეგ შეთქმულობისთვის საუკუნო კატორღა ჰქონდა მისჯილი.

უკანასკნელი 50 დღის განმავლობაში გოლდშტეინმა გმირულად ჩაატარა შიმშილით გაფიცვა ციხის მმართველობის ჯალათურ ქცევის წინააღმდეგ.

## ბრაუნი ინგლისის კომუნისტების შესახებ.

### კომპარტიის გავლენა თანდათან ძლიერდება ინგლისის მუშათა მასებში.

ამ დღეებში ლონდონში კომპარტიის ბინის ჩხრეკისა და მეთაურების დაპატიმრებასთან დაკავშირებით კომინტერნის აღმასკომის წევრმა ბრაუნმა საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

„ამ ბოლო დროს ინგლისის მთელი კაპიტალისტური გაზეთები მოუწოდებენ სასტიკ ზომებისკენ კომუნისტების წინააღმდეგ. ამის მიზეზია კომპარტიის გავლენის შეუჩერებელი ზრდა ინგლისის მუშათა მასებში.

კაპიტალისტებს სურთ დაპატიმრებათა გზით წაართვან მუშათა კლასს საუკეთესო მებრძოლები. მაგრამ ისინი ვერ შესძლებენ კომპარტიის განადგურებას. უკანასკნელი ძლიერია და საკმაოდ მომზადებულია იმისთვის, რომ პასუხი გასცეს მოწინააღმდეგეებსა და გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლება მუშათა საქმისთვის ბრძოლაში“.

ორშაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1. კომუნალური . . . . . (წითელი თეატრი)

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) მოხსენება ცეცხლის მქრობელი რაზმის შესახებ;
გ) მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო . . . (აღმასკომის ოთახი № 17)

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) მიმდინარე საკითხები.

3. სახალხო განათლების . . (აღმ. ოთახი № 32)

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) ბავშთა მიღება 1925—26 წელს და ახალი დამატებითი ჯგუფების გახსნა;
გ) ბიუროს მოხსენება თავის მიმდინარე მუშაობაზე;
დ) მიმდინარე საკითხები.

4. ჯანმრთელობის . . . . (აღ. ოთახი № 57)

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) მოხსენება პურის გამოცხობის საქმისა და ქ. ტფილისის ფურნეების გამოკვლევის შედეგების შესახებ;
გ) მოხსენება სან.-განათლების მუშაობის შესახებ;
დ) მიმდინარე საკითხები.

5. სოფ. მუშ. და საბჭ. აღმშენ. (აღ. ოთახი № 28)

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) საბჭოთა აღმშენებლობა სოფლად;
გ) მიმდინარე საკითხები.

6. სამხედრო . . . . . . . . (აღ. დარბაზი).

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) სექციის მუშაობის გეგმის დამტკიცება;
გ) მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

## ინგლისის პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ.

ლონდონში მომხდარ ჩხრეკისა და დაპატიმრების შემდეგ, ფაბრიკა-ქარხნებში გავრცელდა საწერ მანქანებზე დაბეჭდილი სასწრაფო გაზეთები, რომლებშიაც მოუწოდებენ მუშებს პროტესტისაკენ პოლიციის მიერ მიღებული ზომების წინააღმდეგ.

## პროფინტერნის წერილი პოლიტისა და მონმუსსოსადმი.

ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ კომუნისტებისა და პროფმოძრაობის წინააღმდეგ შემოტევის დაწყების გამო პროფინტერნმა მიმართა აღმასრულებელ ბიუროს წევრებს პოლიტსა და მონმუსსოს წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის შემოტევა საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა მოძრაობის რევოლიუციონურ ფრთის წინააღმდეგ სასტიკ პროტესტს გამოიწვევს ამ ქვეყნების მუშებში. მუშები დღეს საქმეზე დაინახავენ თუ რას წარმოადგენს ინგლისის ნაჯღვი ლიბერალური მონარქია და საფრანგეთის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ძვირფასო ამხანაგებო, დარწმუნებული იყავით, რომ ყველა ქვეყნის რევოლიუციონური მუშები სავსებით თქვენთან არიან“.

## ავსტრიის მელითონეთა გაფიცვების გამარჯვება.

გაიმარჯვა ავსტრიაში გაფიცულ მელითონე მუშებმა. შეთანხმების ძალით გაფიცულებს მიემატებათ სამუშაო ხელფასი.

პროფკავშირთა აღმასკომმა გადასცა მიღწეული შეთანხმება გაფიცულებს დასამტკიცებლად.

## ედდო ფიმენი ფრედ ბრამლის შესახებ.

კომუნისტურ გაზეთ „ტრიბუნას“ წარმომადგენელთან საუბარში ედდო ფიმენმა (გერმანელი, მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ბელადთაგანი) მიუთითა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ჰქონდა ფრედ ბრამლის ინგლისის მუშათა მოძრაობისთვის.

რამოდენიმე წუთით წინ გარდაცვალებამდი ბრამლიმ უთხრა ფიმენს:

„ყოველგვარი ლაპარაკი ომის თავიდან აშორებისა და მილიტარიზმთან ბრძოლის შესახებ უმიზნოა, თუ რომ ჩვენ არ გავარკვევთ, რომ ეს ბრძოლა საბოლოოდ ნიშნავს რევოლიუციონურ გამოსვლასა და სამოქალაქო ომს“

## ფრედ ბრამლის ნეშთის გადასვენება.

13 ოქტომბერს ამსტერდამის პროლეტარიატმა გააცილა ფრედ ბრამლის (ინგლისის მუშათა მოძრაობის ერთი მეთაურთაგანი და საბჭოთა კავშირის მეგობარი) ცხედარი ამსტერდამის სადგურზე, საიდანაც წასვენებულ იქნება ინგლისში.

---

# საბჭოთა კავშირში

## ვიღაც ბოროტგანმზრახველმა მოჰკლა მოსკოვში მომავალი ლიტვის დიპლომატიური კურიერი.

გვამი იპოვნეს და გადმოასვენეს მოსკოვში.

მოსკოვში მომავალ მატარებელში 14 ოქტომბერს ვაგონიდან სადღაც გაჰქრა ლიტვის დიპლომატიური კურიერი, რომელსაც თან მოჰქონდა ფოსტა ლიტვიდან. მთელი მისი პირადი ნივთები და ამანათები რკინისგზის ადმინისტრაციამ წარმოადგინა მოსკოვში ლიტვის დიპლომატიურ მისიაში.

15 ოქტომბერს ვოლოკოლამსკის ახლოს რკინისგზის დარაჯმა აღმოაჩინა ხსენებულ კურიერის გვამი, რომელიც გადმოტანილ იქნა მოსკოვში.

საბჭოთა კავშირის პროკურორმა დაიწყო ამ უბედური შემთხვევის გამოძიება.

## წითელ არმიელთა პრესის ამოცანები.

**ამხ. ბუბნოვის მოხსენება.**

წითელ არმიელთა პრესის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე აღნიშნულ პრესის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა რკპ-ს ცეკას მდივანმა ბუბნოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესებულ და გაძლიერებულ იქნას სამოქალაქო პრესის სამხედრო განყოფილებები და პარტიული ორგანიზაციებს რაც შეიძლება უფრო მეტად აინტერესებდეს სამხედრო საქმე. გაუმჯობესებულ უნდა იქნას სამხედრო პრესისა და სამხედრო წიგნის გავრცელების საქმე. ქოხ-სამკითხველოებსა და მუშათა კლუბებში უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი სამხედრო ლიტერატურა.

## 1903 წლიანთა მოსვლის წინ

**ლეგიონის ამოცანები.**

საბანაკო პერიოდი გათავდა. განთავისუფლებული არიან გაზაფხულზე გამოწვეულები. ნაწილებში შესვენებაა. ბევრი მეთაური და პოლიტმომუშავე შვებულებაში წავიდა, რათა დასვენებული ძალით შეუდგეს ახალწვეულთა მიღებასა და მომზადებას.

მოკლე დროით შესვენება გამოყენებულ უნდა იქნას. მთელი ლეგიონის შემადგენლობის პირველი ამოცანაა საფუძვლიანად შეისწავლოს წესდებანი. საველე მეცადინეობა ბანაკად არ იძლეოდა წესდებათა შესწავლის საშუალებას როგორც წესი და რიგია. ეს ნათლად გამოჩნდა ნაწილების საზამთრო ბინებზე მოსვლის შემდეგ.

წესდებათა არცოდნა — ეს ნიშნავს დაჰკარგო ავტორიტეტი ახალწვეულთა თვალში, დაარღვიო ყოველ ნაბიჯზე წითელ არმიაში შემოღებული წესი, ხოლო აქედან—დისციპლინის დაცემა, თავაშვებულობა, დაუდევრობა.

სროლის საქმე მოითხოვს დაუღალავ წვრთნას დამიზნებაში და გასინჯვაში. სროლისთვის მოსამზადებელი ვარჯიში უნდა ტარდებოდეს ყოველგვარ შემთხვევაში. მსროლელის განუწყვეტელი მზადება—მეორე ამოცანაა.

ახალგაზრდა უმცროსი მეთაური საჭიროებს საინსტრუქტორო გამოცდილებას, უამისოდ ახალწვეულთა სწავლება ძნელია.

აუცილებელია მეთოდიკის დამუშავება. მისცეს ახალწვეულს კარგი უმცროსი მასწავლებელი, რომელსაც დაეკისრება სწავლების მთელი სიმძიმე—ლეგიონის მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი ამოცანაა.

ლეგიონის სკოლის კადრი და ვადის ზევით მსახურნი უმცროს მეთაურთა საუკეთესო ჯგუფია. მათგან უმეტესობას აქვს საინსტრუქტორო გამოცდილება. თეორიულად კი ისინი ვერ არიან საკმაოდ მომზადებული. მათი ამოცანაა თეორიის შესწავლა, მომეტებულად საინსტრუქტორო მხრივ.

ბოლოს, უკანასკნელი ამოცანათაგანი, რომლის გადაჭრისაგან დამოკიდებულია სროლის საქმის ბედი ლეგიონში—ეს არის ტირის (ტირი-სროლისთვის სპეციალურად მოწყობილი შენობა) მოწყობა. შევსების მოსვლის დროისთვის ტირი მზად უნდა იყოს. თუ რომ ამ ამოცანებს გადავჭრით, შევსების მოსვლის დროისთვის ჩვენ მზად ვიქნებით. ასეთ ამოცანებს ისახავს ცაკის სახელობის აჭარისტანის პირველი ლეგიონი.

არმიის სხვა ლეგიონებიც, ცხადია, ასეთსავე პირობებში არიან.

ლეგიონის შტაბის უფროსი პიატკოვი.

„კრ. ვ.“

## არმიაში გაწვევაზე გამოცხადდა 98 პროც.

მთელს საბჭოთა კავშირში გასაწვევ წერტებზე გამოცხადდა გასაწვევთა მთელი რაოდენობის 98 პროც. გაწვეულთა განწყობილება საუკეთესოა. უმეტესობა უარს—ამბობს შეღავათებზე. ამ ჟამად სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა არმიაში ჩარიცხულების ნაწილებში გადასაგზავნად. ყველა არმიაში ჩარიცხულები ღებულობენ შვებულებას შინაური საქმეების მოსაგვარებლად, ვადით 8-დან 30 დღემდი.

---

## რა არის გლეხკომი, რა წესით ეწყობა, რას აკეთებს და ვის ეხმარება.

**საუბარი წითელ არმიელთან.**

(დასასრული)

**კოოპერაცია და გლეხკომები.**

მუშურ-გლეხური ხელისუფლება ებრძვის კერძო ვაჭრებს. სოფელში ჩარჩი—ვაჭრები რომ აილაგმოს, ჩვენ ამ მიზნით ვაწყობთ სხვა და სხვა სახის კოოპერატივებს. კოოპერატივებს გლეხკომი უნდა დაეხმაროს და ზურგი გაუმაგროს. გლეხკომებმა კოოპერატივების მოწყობა—განმტკიცების საქმეში ახლო მონაწილეობა უნდა მიიღონ. გლეხკომებმა სოფლად უნდა მოაწყონ გლეხების კოლექტივები, კომუნები, არტელები. ძალიან კარგი იქნება, რომ გლეხკომებმა სოფლად მოაწყონ ინვალიდების საწარმოო ან სავაჭრო არტელები, რომლის საშუალებით ომის და შრომის ინვალიდები თავის შრომის გამოყენებით სახელმწიფოსაც გამოადგებიან და თითონაც თავსაც ირჩენენ. კომუნების, კოლექტივების და არტელების დაარსებას მაინც და მაინც არ უნდა გამოვეკიდოთ (ესე იგი ასეთები ბევრი არ უნდა დავაარსოთ) ბევრი კომუნების და არტელების მოვლა—პატრონობა საძნელო საქმეა. საჭიროა პირველ ხანებში თითეულ თემში თითო კომუნა ანუ არტელი მოეწყოს, მაგრამ ასეთები იქ აუცილებლად კარგათ უნდა იყოს მოწყობილი. ნუ დავივიწყებთ ამხ. ლენინის სიტყვას „უმჯობესია ცოტა და კარგი“.

**როგორ უნდა მოიქცეს გლეხკომი, რომ სოფლის მოსახლეობის ნდობა დაიმსახუროს.**

გლეხკომმა ნდობა და პატივისცემა რომ დაიმსახუროს სოფლის ფართო მოსახლეობაში, საჭიროა გლეხკომის პრეზიდიუმმა სამ თვეში თავის საქმიანობის და მოქმედების შესახებ ერთხელ მაინც დალაგებული და დაწვრილებითი მოხსენება გაუკეთოს სოფლის კრებას. ამ მოხსენებაში გაშუქებული და გარკვეული უნდა იქნეს მდაბიო, გლეხებისათვის გასაგებ ენაზე, რა გააკეთა გლეხკომმა და მომავალში რის გაკეთებას აპირებს. მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა იქნეს აღნუსხული რა აქვს გლეხკომს (ფონდში) უნდა აღინიშნოს ვის გაუწია დახმარება, რა სახით, და დახმარების გაცემის შემდეგ რამდენი დარჩა ფონდში.

ასეთ მოხსენებების გაკეთებით გლეხკომებს შეუძლიათ დაიახლოვონ და მჭიდროთ ჩააბან გლეხკაცობა გლეხკომების მუშაობაში. ამ კრებაზე აუცილებლათ მოხსენებითვე უნდა გამოვიდენ გლეხკომის სარევიზიო კომისიები და ყოველივე ავ-კარგი გლეხკომების მუშაობის სააშკარაოზე და სინათლეზე უნდა გამოიტანონ.

**გლეხკომი არის საბჭოთა ხელისუფლების დამხმარე ორგანიზაცია.**

ურთიერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოება არის ისეთი საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაცია, რომელიც არსებულ ხელისუფლებას ეხმარება და ხელს უწყობს თავის მუშაობაში. გლეხკომებს უფლება არა აქვთ ადმინისტრატიული ფუნქციები მიითვისონ და მათ საქმეებში ჩაერიონ. არც ადმინისტრაციას აქვს უფლება გლეხკომების საქმეებში ჩარევის. ადმინისტრაცია მოვალეა და უფლება აქვს გლეხკომების მოქმედებას თვალყური ადევნოს და „კონტროლი გაუწიოს დებულების ფარგლებში.

ამხანაგო წითელ არმიელებო! სადაც არ არის გლეხკომები იქ ხელი შეუწყვეთ მათ მოწყობას, სადაც არის გაამაგრეთ, განამტკიცეთ, გააძლიერეთ ფონდები. ფხიზლათ ადევნეთ თვალყური, რომ გლეხკომის ფონდიდან არაფერი არ გაიფლანგოს, რაც შეიძლება მეტი წევრები შემოიკრიბეთ საზოგადოების ირგვლივ. გლეხკომებში აირჩიეთ და ამუშავეთ მასწავლებლები, აგრონომები და გლეხის ქალები.

ქ. ხომერიკი.

# ახალ წვეულის მოსვლის წინ.

## ცხენოსანი ლეგიონი ახალ ძალების მოლოდინში

დღეს თუ ხვალ შეავსებენ ჩვენს რიგებს სოფლიდან მოსული ახალი წვეულები და კვლავ ახმაურდება ჩვენი ნაწილების დროებით მიყუჩებული ყაზარმები. კვლავ გაჩაღდება მუშაობა. წითელი ყაზარმა სიხარულით ელის ამხანაგებს, რომ მოამზადოს ისინი, აღჭურვოს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნით და გახადოს ისინი საბჭოთა რესპუბლიკების ღირსეულ-შეგნებულ მოქალაქეთ. ძველი წითელარმიელები სიხარულით უცდით ამხანაგების მოსვლას და მზად ვართ მთელი ჩვენი ენერგია და სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა-გამოცდილება გადავცეთ მათ. ჩვენ ვესალმებით ახალ წვეულებს. უსურვებთ მათ ნაყოფიერი ყოფილიყოს მათი წ. ყაზარმაში ცხოვრება და მუშაობა მშრომელ ხალხის და მისგან მოპოვებული თავისუფლების საკეთილდღეოთ.

ქართ. ცხენოსან ლეგიონის სამხკორი კ. მუქერია.

## წითელ არმიელის წერილი ახალ წვეულებისადმი.

ამხანაგებო, ამ რამოდენიმე დღის შემდეგ თქვენ ეწვევით წითელ ყაზარმას—აღმზრდელ სკოლას. თქვენ აქ დაინახავთ, დარწმუნდებით თუ რამდენად მართალია, რომ ჩვენ ყაზარმას აღმზრდელ სკოლას უწოდებთ. ჩვენ, ძველ წითელარმიელებს ბევრი რამ შეგვძინა წითელმა ყაზარმამ. დღევანდლამდე აქ ვიმყოფებით და იმდენად დაინტერესებულია, რომ არ ვიცით როგორ უნდა შეურიგდეთ სოფელში წასვლას. ჩვენ იმდენად გამოვიცადეთ და გავთვითცნობიერდით, რომ სოფლებში დაბრუნებისას თამამად შეგვიძლია სათავეში ჩაუდგეთ სოფლის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინების საქმეს. პირველად რომ მოვდიოდით წითელარმიის რიგებში, ამის წარმოდგენაც არ შეგვეძლო, მაგრამ აქ იმდენად აღვიჭურვეთ ცოდნით და შევიგნეთ ჩვენი ინტერესები, რომ თამამად ვლაპარაკობთ.

თითეულ ჩვენთაგანს შეგნებული აქვს და იცის, რომ ოქტომბრის რევოლიუციის სადარაჯოზე მტკიცედ დგომისათვის საჭიროა ყოველმხრივი ცოდნა. ამიტომ იყო, რომ არც ერთ წუთსაც არ ვაცდენდით ყაზარმაში ტყვილა და ვსწავლობდით ყველაფერს.

ასევე უნდა მოიქცეთ თქვენც, ამხანაგებო. თქვენ უფრო კარგ პირობებში მოგიხდებათ სამსახური. ძველი წითელარმიელები ყველაფერში დაგეხმარებათ და ყველაფრის შეთვისებას გაგიადვილებთ.

მაშ მტკიცედ გამოეშურეთ წითელი ყაზარმისაკენ და შეიძინეთ ის ცოდნა, რომელიც შემდეგში უნდა გამოიყენოთ ჩვენი ხელისუფლების დაცვისა და სოფლის აყვავებისათვის.

წ. არმიელი ხ. ქანდაურიშვილი.

## 1903 წ. გამოწვეულთა შორის მუშაობა.

### მე-4 ლეგიონი.

ლეგიონის მიერ 1903 წ. დაბადებულ ახალწვეულებს შორის სამუშაოთ მიღებულია შემდეგი ზომები: გამოწვეულთა მიმღებ წერტზე მოწყობილია წითელი კუთხე, რომლის ტეხნიკური მხარე დამაკმაყოფილებელია. მიმაგრებულია მიმღებ წერტზე რამოდენიმე ამხანაგები, რომელნიც აწარმოებენ მათ შორის იდეურ მუშაობას, რაც გამოიხატება ხმამაღალ კითხვის ჩატარებაში გაზეთებიდან. აქვეა მოწყობილი და მუშაობს საცნობო მაგიდა, რომელიც აკმაყოფილებს გამოწვეულებს თავის ახსნა განმარტებით, მათ მიერ მიცემულ შეკითხვებზე.

გამოწვეულებს ორჯერ ვაჩვენეთ ეკრანზე რევოლიუციონური სურათები როგორიც არის „არსენ ჯორჯიაშვილი“ და „ქარიშხალის წინ“.

კინოს დაწყების წინ გამოდიოდენ ამხანაგები სიტყვებით, რომლებიც უხსნიდენ მათ მომავალ მუშაობას და მისი შესრულების აუცილებლობას.

გამოწვეულები გავაცანით ნაკაზს.

სულიერი განწყობილება გამოწვეულებს შორის საუცხოვოა, ყველას დიდი სურვილი აქვს, რომ მოხვდეს წ.-ა. რიგებში. კომისიის მიერ უვარგისად ცნობილი გამოწვეულები აცხადებენ საყვედურს—რათ არ მიგვიღეს ჯარშიო.

ჯერ-ჯერობით გორის მაზრაში გამოწვევა ძლიერ კარგად მიმდინარეობს.

სამხკორი ხან—მანი

## ქალები ჩვენს ჯარში.

### ქალთა ორგანიზაციის დაარსება მეორე ლეგიონში.

8 ოქტომბერს 2-რე ლეგიონში ქალთა ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად შესდგა ლეგიონის უფ—პოლიტშემადგენლობის ოჯახის წევრ ქალთა გაერთიანებული კრება.

კრება გახსნა სამხკომ ელიაშვილმა და თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ მართალია ლეგიონში წინადაც არსებობდა ასეთი ორგანიზაცია, მაგრამ ნაწილის საბანაკოდ გასვლის შემდეგ მან შესწყვიტა მუშაობა და დღემდე აღარაფერი გაუკეთებიაო.

ამხანაგმა ფართოდ აღნიშნა ქალთა მოძრაობა და ის უფლებები, რომლითაც სარგებლობენ ქალები საბჭოთა წესწყობილების დროს. ამხ. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რა დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ქალს წ. არმიაში და მოუწოდა ამხანაგებს ენერგიულად მოჰკიდონ ხელი მათი დაწყებულ საქმეს. ამის შემდეგ ორგანიზაციის ხელმძღვანელად კრებამ ერთხმად ამოირჩია ამხ. პარაშა ციცხვაია და თამარ რეეცკაია.

მიმდინარე კითხვებში შამოტანილ იყო საკითხი აჭარისტანის ქალთა ორგანიზაციასთან დაკავშირების შესახებ, რაც კრებამ ერთხმად მოიწონა და დაავალა ამ საქმის მოგვარება ამხ. ციცხვაიას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა ორგანიზაცია დიდ დახმარებას უწევს ლეგიონს საკლუბო, სასკოლო და სხვა კულტურული ხასიათის მუშაობაში. იმედია ახლად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია კიდევ უფრო გააცხოველებს ამ მიმართულებით მუშაობას და გაამართლებენ ლეგიონის იმედებს.

სამხკორი ვ. ღ.

## ჩვენი არმიელები საშეფო სოფლებში.

### საშეფო სოფელი მესხეთი.

მე-5 ლეგიონი.

მე-5 ლეგიონს შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი სოფ. მესხეთი. ეს სოფელი ძლიერ ჩამორჩენილია კულტურულად. სოფელში არ არის ქოხ-სამკითხველო და სხვა კულტურული დაწესებულება. ლეგიონის ბიბლიოთეკა ამ მხრივ ყოველგვარ დახმარებას უწევს სოფელს წიგნებით და ჟურნალ-გაზეთების მიწოდებით. ლეგიონმა ამასთანავე განიზრახა სოფელში სამკითხველოს გახსნა, მაგრამ საამისო შენობა ვერ ვიშოვეთ. ხშირად ვდგამთ სოფელში წარმოდგენებს, რაც დიდ კმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში. წარმოდგენების დადგმა გვიხდება ცის ქვეშ, რადგან სათანადო შენობა სოფლად არ მოიპოვება. ამ დღეებში ლეგიონის დრამწრე მოაწყობს სოფელში ფასიან დიდ საღამოს. მთელი შემოსავალი გადაიდება ადგილობრივი ქოხ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

სამხკორი ოგანოვი.

## ბიბლიოთეკამ ხელი უნდა შეგვიწყოს.

### სამხ. მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.

მას შემდეგ, რაც სკოლაში შემოღებული იქნა მეცადინეობის ლაბორატორიული წესი, კურსანტებს დიდი შრომის გაწევა გვიხდება. საჭირო სახელმძღვანელო წიგნები მხოლოდ რუსულ ენაზე მოიპოვება, გვიხდება იქედან თარგმნა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ვერც ამ წიგნებს ვღებულობთ ბიბლიოთეკიდან. დილაობით წიგნების გამოტანა მოუხერხებელია, რადგან მეცადინეობა გვეწყობა საუზმის შემდეგ, ხოლო მეცადინეობის გათავების შემდეგ კი ბიბლიოთეკა დაკეტილია. ამის გამო ხშირად ველარც კი ვამზადებთ გაკვეთილებს შესაფერად.

საჭიროა ბიბლიოთეკის გაღება შეუფარდდეს თავისუფალ დროს და საშვალება მოგვეცეს წიგნებით სარგებლობის.

კურსანტი რ. ქორი.

## რატომ არ არის ქართული ჟურნალ-გაზეთები?

წითელ არმიისა და ფლოტის ბაღში თითქმის ყოველ ღამე გვიხდება ყველა ქართულ ნაწილებს სიარული.

არა ერთხელ გამოუთქვამთ არმიელებს თავის გულისწყრომა იმაზე, რომ ბაღის სამკითხველოში არ მოიპოვება ქართული ჟურნალ-გაზეთები. სანამ კინო-სურათები არ დაიწყება (რომელსაც მაინც და მაინც ვერაფერს უგებთ, რადგან წარწერა რუსულია და ქართულად არავინ გვითარგმნის) უმიზნოთ დავდივართ ბაღში. არა გვაქვს საშუალება რუსი ამხანაგებივით გავერთოთ ჟურნალ-გაზეთების კითხვაში.

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ამ დაუდევრობის შესახებ ჩვენს გაზეთში, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს როგორც ჩანს. დროა ქართული ჟურნალ-გაზეთებიც უხვად იყოს ბაღის სამკითხველოში.

სამხკორი კირილე.

## მე-4 ტერლეგიონის მე-2 ათასეული.

14 ოქტომბერს შესდგა მე-2 ათასეულის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო: 1. ათასეულის თავის მოხსენება ათასეულის ყოფა-ცხოვრებაზე, 2. სარედაქციო კოლეგიის არჩევა, 3. სამნეო დამხმარე კომისიის არჩევა და 4. სამხკორების შესახებ და აგრეთვე მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ათასეულის მეთაურმა ამხ. გაბუნიამ და აღნიშნა ყველა ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი ქონდა ათასეულში.

მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია წითელ არმიელებიდან, რომლებზედაც მომხსენებელი დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევდა ყველას.

შემდეგ არჩეული იქნა სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა.

პოლიტხელმა აღნიშნა ძველი სარედაქციო კოლეგიის უარყოფითი მხარეები.

კრებამ უსურვა ახლად არჩეულ ძალებს სათანადო ენერგიით შესდგომოდეს მუშაობას და გამოესწორებიოს ყველა ნაკლულევანება.

მესამე საკითხის შესახებ კრება გაეცნო ძველი სამნეო დამხმარე კომისიის მუშაობას და არჩეული იქნენ ახალი წევრები.

ბოლოს კრებამ სათანადო გამხნევება მისცა ტერ-სამხკორებს და მოუწოდა მათ ენერგიულად განაგრძონ მუშაობა.

სამხკორი ლავრო.

## წითელ არმიელების წერილებიდან.

### გამოასწორეთ ეს ნაკლიც.

1-ლი ლეგიონი.

სადილის დროს ჩვეულებრივად თითეულ ჯამში 10 წითელ არმიელის ხვედრი კერძი უნდა გვეძლეოდეს. ჩვენს ლეგიონში კი ასე არ ხდება. 10 კაცზე ხუთი კაცის ულუფაც არ მოგვდის და ვრჩებით მშიერი. ნეტა ვიცოდეთ სად მიდის დარჩენილი სადილები? დროა სამნეო ნაწილის უფროსმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, გამოასწოროს ნაკლი და დამნაშავეს შესაფერი პასუხიც მოსთხოვოს.

წ. არმ. ფარეხმელი.

### მოგვეცით პარიკმახერი.

2-რე ლეგიონი.

თითქმის ორი თვე სრულდება, რაც მეორე ლეგიონის არმიელები არ გაპარსულან. ყოველ დღე ველით პარიკმახერს, მაგრამ არაფერი ეშველა მის დაქირავებას. ერთხელ ლეგიონის საერთო კრებაზედაც კი წამოიჭრა ეს საკითხი, რომლის დროსაც სამნეო ნაწილის უფროსმა აღუთქვა ლეგიონის თავს, რომ ახლო ხანში დაიქირავებდა პარიკმახერს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა და პარიკმახერი დღესაც არ უქირავებიათ. სანამდე უნდა ვიქნეთ ასე გაუპარსავი?

მოგვაქციეთ ყურადღება.

სამხკორი ბ—ლი.

### გაგვინათეთ სასადილო.

1-ლი ლეგიონი.

ჩვენს სასადილოში დღემდე ვერ მოუგვარებიათ განათების საქმე, რაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს წითელ არმიელებს ყოველი ვახშმობის დროს. სიბნელეში წ. არმიელები ვეღარ არჩევენ ერთმანეთისაგან ჯამებს; პირისაკენ წაღებულ კოვზს ცხვირზე იტაკებენ. საჭიროა საჩქაროდ მიიღონ ზომები ამის გამოსასწორებლად.

ამას გარდა ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სასადილო მაგიდების დასუფთავებას, რადგან თითეულ მათგანზე აუარება ჭუჭყს აქვს მოკიდებული ფეხი.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

### მოგვეცით წესდებები ქართულად.

ძველი, ქართულად გამოცემული წესდებები ნაწილებისათვის თითქმის გაუქმებულია. ახალი არიან მაგრამ რუსულად. რუსული ჩვენმა არმიელებმა კი არ იციან. მათ უხდებათ შეითვისონ ეს წესები მეთაურის გადმოცემით, მაგრამ არც ეს არის ადვილი. წ. არმიელი რომ თავისით წაიკითხავს სულ სხვაა, მაშინ უფრო ამახსოვრდება, მაგრამ წაკითხვის საშვალება, რომ არ აქვს? საჭიროა სათანადო ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და გამოსცენ წესდებები ქართულად. ეს ძლიერ გაუადვილებს ჩვენს არმიელებს სამხედრო ვალდებულებებში გარკვევას.

სამხკორი მიხო საწირელი.

# პარტიული ცხოვრება

## სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან.

სკოლის კომუჯრედის ბიურომ, რომელიც არჩეული იქნა ამ სამი თვის წინად, დაამთავრა თვისი მუშაობა. ოქტომბრის 14 მოხდა უჯრედის კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა უჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ პასუხის მგებელი მდივანი.

სულ ამ ხნის განმავლობაში უჯრედს ჰქონია 10 კრება. ბიურო სცდილობდა, რომ მთელი კურსანტთა მასა ყოფილიყო ჩათრეული პარტიულ მუშაობაში. ამ მიზნით იგი ავალებდა კურსანტებს რიგრიგობით მოხსენების კეთებას სხვა და სხვა თემებზე.

ბიურო დიდ ყურადღებას აქცევდა მე-14 პარტკონფერენციის, პარტყრილობების და სხვა და სხვა თათბირების დადგენილებათა შესწავლას. კურსანტებს ბიურო ავალებდა აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენების გაკეთებას.

გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა საბანაკო პერიოდის დროს. უჯრედმა ამხანაგების მთელი რიგი მიამაგრა სხვა და სხვა დაწესებულებებს და სოფლებს მუშაობის საწარმოებლად. უჯრედი აძლევდა მათ სათანადო დირექტივებს, თუ როგორ უნდა ეწარმოებიათ მუშაობა სოფლად, რას უნდა მიქცეოდა ყურადღება და სხვა.

მუშაობამ კარგი ნაყოფი მოგვცა. ამხანაგებმა გააცნეს სოფლად მომუშავე ამხანაგებს და გლეხობას მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებები და ის ღონისძიებები, რომელსაც ღებულობს საბჭოთა ხელისუფლება სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად და გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ბიუროს მიერ საშეფო სოფელს. აწვდიდა მას გაზეთებს, ჟურნალებს, მისი ინიციატივი ეწყობოდა მიტინგები და საუბრები სხვა და სხვა თემებზე.

ბიუროს მიღებული ჰქონდა ზომები კურსანტების მუშაობის უნარიანობის შესასწავლად; ამ მიზნით გამომუშავებული იქნა სპეციალური ანკეტა, მაგრამ სამწუხაროდ ეს კარგი საქმე ჯერ არ დაუთავებია.

მოხსენებაში აღნიშნული იქნა ის გარემოებანი, რომელნიც ხელს უშლიდნენ ბიუროს საქმიანობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ბიურომ მაინც დასძლია ყველა დაბრკოლებები და პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა.

კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ე. ხუციშვილი.

# სამხედრო შენიშვნებიდან

### ცუდ პურს იძლევიან.

#### 4-ხე ლეგიონი.

პირველი ლეგიონიდან მივლენილი არიან № მაზრის სამხედრო კომისარიატთან რამოდენიმე წ. არმიელი. კმაყოფაზე ისინი მეოთხე ლეგიონთან იმყოფებიან, მაგრამ სამწუხაროდ ისინი ნახევრად მშიერი იმყოფებიან, რადგან პურის საცხობში ყურადღება არ ექცევა სისუფთავის დაცვას და ცუდად ცხვება. პურში ათას რამეებს ვნახულობთ და გული აღარ მიხდით წ. არმიელებს რომ სჭამონ. დროა მიაქციონ ყურადღება.

სამხედრო გურული.

### შვებულებით ყველა თანასწორად უნდა სარგებლობდეს.

#### 2-რე არტლეგიონი.

როგორც ვიცით განსაკუთრებული ბრძანების თანახმად ერთი წლის სამსახურის შემდეგ ვალდებული არიან თითეული წ. არმიელი გაუშვან მოკლე ვადიან შვებულებაში. ჩვენს ლეგიონშიაც ატარებენ ამ ბრძანებას, მაგრამ უკანონოდ. ზოგიერთი არმიელი მესამედ იქნა გაშვებული სახლში, როდესაც არიან ისეთები, რომლებიც ერთხელაც არ გაუშვიათ. რას მიაწეროთ ასეთი უთავბოლობა? ვფიქრობთ, ნათლიმამობას კიდევ აქვს გასავალი ჩვენთან, რასაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

სამხედრო კირილე.

# უცხოეთის არმიებში.

**ჩეხოსლოვაკია იარაღდება.**

1926 წლისათვის ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ბიუჯეტი (ხარჯთ აღრიცხვა) გადიდებულია 120 მილიონი კრონით; მთელი ეს თანხა მოხმარდება ტეხნიკურ ნაწილების გადიდებას, არმიის შეიარაღებას ახალი იარაღით და არმიის რიცხვის გადიდებას.

**ფლოტის მართვა რადიოს საშუალებით.**

ცნობილ რადიო გამომგონებელ მარკონიმ მოახდინა ახალი ცდები რადიოს საშუალებით ფლოტის მართვაში უშუალოდ.

მარკონის პატარა ხომალდი ე. წ. „ელექტრო" გაშვებული იქნა ზღვაში და ხელმძღვანელობდენ მის მოძრაობის მახლობელ შუქურაზე (მაიაკი) დადგმულ რადიო სადგურიდან გაშვებული სიგნალებით. შუქურა წარმოადგენს გადამცემ რადიოტელეფონის სადგურს, რომელიც რომელიმე ერთ მიმართულებით მიმართავს თავის ტალღებს. მაგრამ სიგნალიზაციის დროს რადიო ტალღების მიმართულება თანდათან იცვლება და აკეთებს წრეს. თითეულ ცალკე შემობრუნების დროს ტალღა იძლევა განსაკუთრებულ სიგნალს. ამნაირად ზღვაზე ყოფნის დროს ამ სადგურის შემწეობით ყოველთვის შეიძლება გაგებული იქნეს თუ სად იმყოფები, რომელ მხარეს და რამდენად დაცილებული ხარ რადიო სადგურიან შუქურიდან.

**ტრაქტორი სპილო.**

ინგლისის ჯარების ნამეურებში გამოსცადეს ერთი ტიპის ტრაქტორი ხორტის (ხორტი სპილოა ინდოეთის ენაზე) მოდელის (ნიმუში), როგორც გაზეთები აღნიშნავენ ეს ტრაქტორი თავისუფლად გადადის 3 ფუტის სიმაღლის ფართო ხევებზე და ამასთანავე თან მიაქვს 10 ტონი სიმძიმე 10—12 კილომეტრის სიჩქარით საათში, ასეთ სიჩქარეს ის ანვითარებს 10 გრადუსიან დაქანებაზე პირშეღმა. ასეთივე თავისუფლად მოძრაობს აღნიშნული ტრაქტორი წვრილ ქვიშნარზე. ამას გარდა საჭიროების დროს ეს ტრაქტორი შეიძლება თავისუფლად იქნეს გადაკეთებული ჯავშნოსნად, რომელსაც შეეძლება გზატკეცილზე 50 კილომეტრის სიჩქარის განვითარება საათში.

**შვეციის ფლოტის საომარი მომზადება.**

შვეციის მთავრობამ ახალი სამხედრო გემების ასაგებათ გადასდო 7 მილიონი კრონი. ფლოტის სარდლობამ პროექტი (გეგმა-წინადადება) შეიტანა მთავრობაში, რომლითაც ის მოითხოვს შვეციის ფლოტის დაყენებას მთელი წლის განმავლობაში საომარ სამზადისზე. ამასთანავე ის მოითხოვს ისეთი გემების აუცილებლობას, რომელთაც შეეძლებათ წყალქვეშა ნავებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მთავარ სარდალი ამას გარდა მოითხოვს გადიდებული იქნეს თანხა ტრალერთა რიცხვის გასადიდებლად.

# ამბები სოფლებიდან.

**ნიაღვარი ქარელში.** 2 ოქტომბერს ქარელში მოვარდა დიდი ნიაღვარი, რომელმაც წალეკა ჰირნახული, დაანგრია სახლები და საზოგადოთ დიდი ზარალი მისცა სოფელს. სოფელი შუამდგომლობს ახალ ადგილზე გადასახლებას, რომ თავიდან აცილებული იქნეს მომავალში საფრთხე ნიაღვრისაგან.

**გორში** დაარსდა მუშათა საბინაო ამშენებლობის დამხმარე საზოგადოების კომიტეტი.

**ბაზრობა ზუგდიდში.** ზუგდიდის აღმასკომმა დაავალა ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებას მოაგვაროს ადგილობრივ ბაზრობის მოწყობის საქმე.

**წითელ არმიელების შეფობა.** თელავში მდგარმა ცხენოსანმა პოლკმა მიიღო შეფობა სოფელ იყალთოზე. წითელ არმიელები გლეხებს ეხმარებიან მუშა-ხელით.

**ფიზკულტურის კვირეული.** 18 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე ბორჩალოს მაზრაში ჩატარდება ფიზკულტურის კვირეული.

თელავის აღმასკომმა გადასდო 6 ათასი მანეთი სამაზრო მილიციისათვის ცხენების შესაძენათ.

# ახალი ამბები.

**საჩუქარი წითელარმიელებს.** თელავში მდგომ ცხენოსანთა ესკადრონს, შინ. საქ. სახ. კომისარმა ამხ. მათიკაშვილმა გადასცა 350 წიგნისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა.

— **სასოფლო სამეურნეო იარაღების შეძენა.** ტფილისის აღმასკომმა მაზრის სხვა და სხვა ადგილებში დასაგზავნათ შეიძინა მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატისაგან 9 ტრაქტორი, 1 სალეწი მანქანა, 5 სანიავებელი და 5 სარჩევი მანქანა.

— **ელექტრო-პროპაგანდა.** ტფ. აღმასკომმა გადასწყვიტა გადასდოს 2 ათასი მანეთი ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში ელექტრო-პროპაგანდის გასაწევათ.

— **პროფკავშირების** წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ, ტფილისის აღმასკომმა გადასდო 3.000 მანეთი.

— **ქალაქში** თავისუფალი ბინების სიმცირის გამო ტფ. აღმასკომმა დაადგინა გაანთავისუფლოს სასტუმრო „პალასი" და გადასცეს იგი მუშათა ორგანიზაციებს.

— **ზაჰესის** 6 მუშას ტფ. აღმასკომმა დაუნიშნა სტიპენდიები სხვა და სხვა სასწავლებლებში სასწავლებლათ.

— **აგურის ქარხანა.** ტფილისის აღმასკომმა გადასწყვიტა აგოს ახალი აგურის ქარხანა, რისთვისაც გადასდო 15 ათასი მანეთი.

— **საქონლის ჭირთან** საბრძოლველათ მიწ.-მოქ. კომისარიატმა მაზრებში წელს დაგზავნა 5.839 ლიტრა შრატი.

— **დასახიჩრება.** ტფილისის დამზღვევ სალაროს მიერ სექტემბერში აღრიცხულია 142 უბედური შემთხვევა მუშების დასახიჩრებისა.

— **უმაღლესი სამ. საბჭო** ბაღდადში აწყობს ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

# „ცოცხალი ისტორია".

გუშინ, სოც.-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში შემოვიდა ფასანაურელი (დუშ. მაზრა) გლეხი გიორგი ბედოიძე, რომელიც დაბადებულია მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში. მისი თქმით იგი უნდა იყოს 128 წლის კაცი.

მას კარგათ ახსოვს მეფე ერეკლე მეორეს რაზმების ჯარის კაცები და მათთან ნაცნობობა.

ახსოვს ძველი ტფილისი, რომელიც გაშენებული იყო სიონისკენ და ძველი ისანი (ეხლანდელი ავლაბარი). რკინის გზები გაშენებულია მხოლოთ მის მოხუცებაში.

გიორგი ბედოიძემ ჩვენს თანამშრომელს დაწვრილებით აუწერა საქართველოში ძველი ქამიანობის დრო, დიდი დაბნელება და სხვა...

მის დროს ახალი შემოსული იყო ხმარებაში ტალიანი (კაჟიანი) თოფები. აღნიშნული თოფები ქართველ მეფეებს დაურიგებიათ მხოლოთ ზოგიერთი ხევსურებისათვის.

აღნიშნული მოხუცი, თავის დროზე განთქმული მონადირეც ყოფილა. მას ტყეში ნადირობისას გაუფუჭებია ცალი თვალი. მეორე თვალით ის ეხლა კარგათ იყურება. სმენაც კარგი აქვს.

უზრუნველყოფის კომისარიატმა მას მისცა ფულადი დახმარება, რითაც მოხუცი ძლიერ გაკვირვებული იყო თუ რატომ მისცეს მას ასე მუქთად ფული.

— ეხლა წავალ ფასანაურში და დაუწყებ ლოდინს სიკვდილსო, სთქვა ამ „ცოცხალმა ისტორიამ".

დ.

# პასუხად ამხ. სერედას.

გაზ. „წითელი არმიელის № 235-ში მოთავსებული იყო ამხ. სერედას წერილი შემდეგი სათაურით: „მშრომელი ბიბგამგე", სადაც ავტორი ეხება 1-ლი მესანგრეთა ასეულის ბიბგამგეს და აღნიშნავს თითქოს მე არ ვაძლევდე სამზარეულოში მომუშავე არმიელებს საკითხავად გაზეთს. არ ვიცი რად დასჭირდა ამხანაგს ასეთი ბრალდებით გამოსვლა, როდესაც თვითონაც კარგად იცოდა, რომ მე ყოველდღიურად ვაძლევდი მათ ორ ცალ გაზ. „წითელ არმიელს", წაკითხული გაზეთები მიბრუნდებოდა საღამოს. 5 სექტემბრიდან სამხკომის განკარგულებით სამზარეულოს ვაძლევდი მხოლოდ ერთ ცალ გაზეთს, რომელიც საღამოობით მიჰქონდა წასაკითხავად მზარეულს. დღემდე ასეთი წესით ვაწარმოებ გაზეთის გაცემას სამზარეულოზე.

არც ის არის მართალი თითქოს ბიბლიოთეკა დაკეტილი იყოს. ის ღიაა დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე. თქვენ ალბად იმაზე მოგდით გული, რომ სამზარეულოში გადაცემულ გაზეთში გინდოდათ თამბაქოს გახვევა და ამის ნება არ მოგეცით. არ არის კარგი ასე კერძო ინტერესისთვის მკითხველების შეცდომაში შეყვანა და უბრალოდ ბრალის დადება.

ბიბგამგე გ. კეჟელიძე.

# განცხადებები

## ს. კ. პ. ტფილ. ორგანიზაციის მე-3 რაიკომი

იტყობინება, რომ კვირას, 18 ოქტომბერს, დილის 10 საათისათვის, მე-3 რაიონის პარტკლუბში (კახ. ქ. № 1.) შესდგება სამხედრო პარტორგანიზაციათა წარმომადგენლების **თათბირი** ს. კ. პ. ტ. ო. მესამე რაიონის პარტკონფერენციაზე.

**დაიკარგა** 1-ლი ცალკე მესანგრე ასეულიდან მოცემული წითელ არმიელის წიგნაკი პეტრე დავითის ძე აროშინიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** 1-ლი დივიზიის 1-ლი საარტილერიო ლეგიონიდან გაცემული პირადობის მოწმობა, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტიდან გაცემული მატრიკული და სხვა მოწმობები გრიგოლ დავითის ძე ჩიჩუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.